



# კონფლიქტი და პოლიტიკა

დავით დარჩიაშვილი

ვებსტერის ლექსიკონის თანახმად, კონფლიქტი პოზიციათა შეუთავსებლობაა. იგი ხან ძალადობრივია და ხან – არა. მეტიც, კონფლიქტი ზოგჯერ სასარგებლოცაა, რადგან კამათთან ასოცირდება, კამათში კი ჭეშმარიტება იხადებაო, ნათქვამია. კონფლიქტის ექსპერტები (კონფლიქტების გადანყვება, რეგულირება, მშვიდობის კვლევა-ძიება ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი საგანია სოციალურ მეცნიერებებში) მიიჩნევენ, რომ კონფლიქტები, ერთი მხრივ, შინაარსობრივია, ანუ რალაციის გამო განვითარებულ შეხედულება-დამოკიდებულებათა ჯახს ეხება, მეორე მხრივ კი – ქცევითი. ეს უკანასკნელი გულისხმობს უთანხმოებას კონკრეტულ სიტუაციებში მოქმედების/უმოქმედობის გამო. მაგრამ, როგორც წესი, კონფლიქტი კომპლექსურია და ერთდროულად სამი ნახნაგი აქვს: შინაარსობრივი, ქცევითი და დამოკიდებულებითი. ამ ფაქტორებისაგან იოჰან გალტუნგმა დაუვიწყარი „კონფლიქტის სამკუთხედი ააგო“, შემდეგ კი დაგვიბარა, რომ თუ საქმე ძალადობამდეა მისული, მასაც სამი სახე აქვს – პირდაპირი (მუშტი, მათრახი, იარაღი), სტრუქტურული (უსამართლო ნორმები, ჩვეულებები, კანონები) და კულტურული (აგებული დამოკიდებულება, ზიზღი ან სხვა რამ სტერეოტიპული – უცხოთა მიმართ).

ყველამ ვიცით და ყველას გამოგვიცდია, თუ რა არის კონფლიქტი. მასში ჩვენ დაბადებიდან შევდივართ, რახან რალაც გვინდება, მაგრამ არ გვეძლევა. კონფლიქტი კონკურენციასთანაცაა დაკავშირებული ან/და სიტუაციის გაკონტროლების სურვილთან. ესეც, მინიმუმ, საბავშვო ბაღიდან იწყება. სოციოლოგ ჰარისონ უაითს მთელი ჩვენი სოციალური ყოფა იდენტობასა და კონტროლზე დაჰყავს: ვაცნობიერებთ, რომ ვართ განსხვავებულები, ავტონომიურები (იდენტობა) და ვისწრაფით თვითდამკვიდრებისაკენ (კონტროლი). პოლიტიკაც აქვეა. იგი, ერთგვარად, კონფლიქტების რეგულირების ფორმა და მექანიზმია. მასში ხან ძალაზეა აქცენტი, ხან მოლაპარაკებებზე. წარმატებული პოლიტიკის (კონფლიქტების რეგულირების) განსახორციელებლად აუცილებელია, რომ გალიარონ, ანუ ლეგიტიმური იყო. ამის მიღწევის საშუალებები კი ნაირფერია.



იოსებ გალტუშვილი



რა თქმა უნდა, პოლიტიკის მკვლევრებიც და ჩვეულებრივი ადამიანებიც პოლიტიკას, როგორც სფეროს, ცალკე გამოყოფენ ხოლმე. ე.წ. პოლიტოლოგია და კონფლიქტოლოგია მაინც სხვადასხვა დისციპლინებია. როგორც წესი, სიტყვა „პოლიტიკა“ სახელმწიფოთა შექმნა-მოქმედება-გარევის თემას უკავშირდება. აქ კონფლიქტებსაც პოლიტიკასთან დაკავშირებით განვიხილავ – დიდი ჯგუფების (ერების თუ სოციალური კლასების) დაპირისპირებებს ვეხები. მაგრამ კონფლიქტის შესახებ შესავალი დამჭირდა, რადგან მინდოდა ხაზი გამესვა შემდეგი გარემოებისთვის: იგი ჩვენი, ადამიანების, მუდმივი თანამგზავრია, მიუხედავად იმისა, გვანტერესებს „მაღალი“, სახელმწიფოებრივი ამბები თუ არა.

ცოტაც იმის შესახებ, თუ მაინც რა არის პოლიტიკა: ამ სიტყვის შემოქმედად თუ არისტოტელეს გამოვაცხადებთ, ძალიანაც არ შევცდებით, რადგან ქრისტეს დაბადებამდე ოთხასიოდე წლით ადრე მან შექმნა და დავიგოვა ტრაქტატი პოლიტიკის შესახებ. თუმცა როგორც ამ ფენომენის, ისე კონფლიქტის არსზე დიდი მემკვიდრეობა გვიანდერძა ერთი თაობით ადრე მოღვაწე პლატონმაც. და მაინც, პოლიტიკის ასახსნელად მე არისტოტელეს ცნობილ ფრაზას ავიღებდი – პოლიტიკა უმაღლესი სიქველე, სათნოებაა. არისტოტელესათვის იგი პოლისის, ანუ თავისუფალ მოქალაქეთა კოლექტიური საცხოვრისის სამსახურია. პოლისი იყო ბერძენების ქალაქიც და სახელმწიფოც, რადგან იმ გარდასულ დროში ეს ორი ცნება ბერძენთათვის არ განსხვავდებოდა. როგორც კი მოსახლეობის სიმჭიდროვით შეწუხებული ან ახალი სავაჭრო გზების გაკვალვის სურვილით აღტყინებული ათენელები, კორინთელები და სხვანი სადმე ზღვის გადაღმა დააარსებდნენ კოლონიას, ეს უკანასკნელი მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობისათვის ზრუნვას იწყებდა. ასე ხდებოდა ფინიკიელებთანაც.

ჰარისონ უაითი



## პოლიტიკა

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღევანდელი გაგება მოქალაქისა კი მოდის ქალაქის ცნებიდან, მაგრამ ჩვენი პირადობის მოწმობები უკვე მრავალი ქალაქისა და სოფლის პოლიტიკურ ერთობას ასახავს. არსებითად, პოლიტიკის არისტოტელესეული გაგება თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების გაგებას უახლოვდება. ჩვენმა პოეტმა გამოთქვა მისი არსი:

**„აჩს კასი ვაჩა, რომ სოცხანი მკვანსა ეხგავსოს, იყოს სოფადგი და სოფდისტვის აჩა იფინოს“.**



რებისათვის, განხორციელებისათვის. ამასთან, პოლიტიკა კონფლიქტების მოგვარება/რეგულირებაცაა. ისევ ქართულ პოეზიას რომ დავუბრუნდეთ და ვაჟას უკვდავი სიტყვების პერიფრაზი გავაკეთოთ, ვგონებ, ძალიანაც არ შევცდებით:

**პოლიტიკა „განხანებელია, ივიზ მონა თაჟისა“**



თუმცა პოლიტიკის თანამედროვე გაგება მარტო არისტოტელესგან მომდინარე ამ განმარტებას არ გულისხმობს და მთელი რიგი ასპექტებით სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკოსების წრე სხვადასხვაა.

თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერთა თქმით, პოლიტიკა საზოგადოებაში უფლება-მოვალეობების განაწილებას გულისხმობს და ვისაც ეს ხელეწიფება, მას ამის განსაკუთრებული, ძალაუფლებით გასხვივონებული პრივილეგია უმაგრებს ზურგს. ანუ პოლიტიკა ხშირად გამოირჩეულთა – იმავე პოლიტიკური კლასის თუ ელიტის საუფლოა. მისი წევრები ადგენენ, თუ როგორ გადაწყდეს საკითხები სახელმწიფოში, რა პროექტები დაფინანსდეს და განხორციელდეს; რისი თუ ვისი შეზღუდვის ფასად მოხდეს ეს და აქ ჩნდება პოლიტიკის მესამე განმარტებაც. იგი ყველაზე ახლოა კონფლიქტის ცნებასთან. გადაწყვეტილებათა მიღების „საჭესთან“ მიღწევა უბრძოლველად არ ხდება.

ამდენად, პოლიტიკა კონფლიქტია, ბრძოლაა პრივილეგიებისათვის, კონტროლისათვის, საკუთარი იდენტობისა და ხედვების დამკვიდ-

### პლატონი და არისტოტელი





**ზვიად გამსახურდია**  
(1939-1993)

გამოსავალი ერთადერთია – პოლიტიკა და-ექვემდებაროს სამართალს, გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშგების პრინციპებს.

რაც შეეხება უშუალოდ კონფლიქტების პოლიტიკურ რეგულირებასა თუ გადანყვეტას, ამ შემთხვევაში თავი უნდა დავანებოთ ოჯახურ თუ სხვა ყოფით ან ბიზნეს კონფლიქტებს (თუ ოჯახი ან რაიმე საწარმო მთლად მმართველთა არაა და მის შიგნით განვითარებული დრამა მოსახლეობის ფართო ფენებზე არ აირეკლება) და ყურადღება მივაპყროთ სამოქალაქო, ეთნიკურ თუ საერთაშორისო განზომილებას. ამ სიტყვების მიღმა დიდ სოციალურ მასათა დაპირისპირება იგულისხმება. როგორც წესი, მათ ლიდერები იწყებენ, მაგრამ ისეც ხდება, რომ ლიდერებს მშვიდობა და გარიგება მოენატრებათ, მასებში კი ისევ ურთიერთსიძულვილი ბობოქრობს და პოლიტიკურ კლასს თავის მძევლად აქცევს.

სამოქალაქო კონფლიქტები შეიძლება სოციალურ კლასთა თუ სხვადასხვა მსოფლმხედველობის მატარებელთა შორის მიმდინარეობდეს. ამის ამსახველი ძველი რევოლუციებისა თუ

სამოქალაქო ომების განხილვა შორს წაგვიყვანს და მსგავსი მოვლენების ნიშანთა დასანახად შეგვიძლია მხოლოდ 1991-1993 წლების საქართველო გავიხსენოთ. დღემდე არაა თანხმობა, თუ რა ძალა დაუპირისპირდა დამოუკიდებელი ქვეყნის პირველ, საყოველთაო კენჭისყრით არჩეულ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე თვეში. ეს უთანხმოება ეგებ იმასაც მოასწავებდეს, რომ მაშინდელი კონფლიქტი დღემდე არაა აღმოფხვრილი. მაგრამ ცხადი ისაა, რომ ერთი და იმავე ქვეყნის, მეტიც, საერთო ეთნიკური წარმომავლობის და რელიგიური კუთვნილების ადამიანთა ნაწილი ერთმანეთს იარაღს ესროდა, უფრო მეტი კი ან ერთ მხარეს გულშემატკივრობდა, ან – მეორეს.

ჩვენივე მაგალითით შეგვიძლია პოლიტიკური ხასიათის კონფლიქტთა ორ დარჩენილ სახეობაზეც ვიმსჯელოთ: ქართულ-აფხაზურ-ოსური დაპირისპირებები ეთნიკური ომის სახეს ატარებდა, ქართულ-რუსული კონფლიქტი და ომი კი საერთაშორისო ხასიათისა იყო. ჩვენი შემთხვევა იმ მხრივაცაა აღსანიშნავი, რომ ეს სამი განსხვავებული შინაარსის მქონე კონფლიქტი ერთმანეთში ირეოდა. ესეც არაა სიახლე: კლასიკას თუ მივუბრუნდებით, ვნახავთ, რომ, მაგალითად, XVIII საუკუნის საფრანგეთში რევოლუციაში გადაზრდილ შიდა სოციალურ კონფლიქტს უცხო სახელმწიფოთა ინტერვენციაც ახლდა. ფრანგულ კონფლიქტთა კალეიდოსკოპში პრაქტიკულად არ იყო ეთნიკური შემადგენელი, მაგრამ რელიგიური განხეთქილება, რაც სხვაგან ეთნოსებისა თუ ერების გახლეჩის ნიადაგიც გამხდარა, ასევე თამაშობდა მნიშვნელოვან როლს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ასეთი კონფლიქტები პოლიტიკურია, ანუ დიდ სოციალურ ჯგუფებში ძალაუფლების საკითხს ეხება. ასევე პოლიტიკური პროცესია ამ კონფლიქტთა გადანყვეტა/რეგულირება/ტრანსფორმაცია. თანამედროვე სამყაროში მსგავსი კონფლიქტების მიმართ შეიძლება ორი მიდგომა დავინახოთ: ტრადიციულ-პოლიტიკური და აკადემიურ-კონფლიქტოლოგიური. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დაყოფა პირობითია, რადგან პირველშიც არის აკადემიური წვლილი და მეორეშიც – პოლიტიკური. საერთოდ, სოციალურ სფეროში (პოლიტიკაც და კვლევა-ძიების აკადემიური საქმეც სოციალური პროცესებია) ყველაფერი გადაჯაჭვულია მარტივი მიზეზის გამო: ისინი ადამიანთა ძალისხმევას ეხება და სადაც ადამიანური ძალისხმევაა, იქ კოლექტიურობაც და პოლიტიკაც გარდაუვალია. მაგრამ შემოთავაზებული დაყოფა მაინც ლოგიკურია, რის ახსნასაც ქვემოთ შევეცდებით.

## ა) ტრადიციულ-პოლიტიკური მიდგომა

საუკუნეების თუ არა, ათასწლეულების მანძილზე მმართველები მსგავს კონფლიქტებს ან ძალით წყვეტდნენ, ან კომპრომისებით. ერთი მხარე ან სრულად მარცხდებოდა, ან სურვილების მხოლოდ მცირე ნაწილს თუ იკმაყოფილებდა, რადგან კომპრომისის მონაწილენი იშვიათად ფლობენ თანაბარ ძალას. აქ საინტერესოა, რომ პოლიტიკოსთა ჩარევა, რომელთაც პროფესიონალი დიპლომატები და სამხედროები უმაგრებენ ხოლმე ზურგს, ასევე ორად უნდა გაიყოს: კონფლიქტის რეგულირება უშუალოდ მასში მონაწილეთა პასუხისმგებლობაა, მაგრამ, როგორც უკვე ვახსენეთ, თითქმის არასოდესაა ეთნიკურ-რელიგიური, სამოქალაქო თუ სახელმწიფოთაშორისი ჯახი მხოლოდ მონაწილეთა ნებაზე მინდობილი. ჩვეულებებისამებრ, საქმეში ერევიან გარე ძალები.

თუ ომს გამოვრიცხავთ, ვითარების ტრადიციული დარეგულირებისათვის, რასაც იძულებით დიპლომატიას ეძახიან, შემდეგი ქმედებებია საჭირო: მეტოქეს ნათლად უნდა აუხსნა, თუ რა გსურს; გააგებინო, რომ უარის შემთხვევაში სასჯელი გარდაუვალია; შესთავაზო დათმობის სანაცვლო კომპენსაცია; დააჯერო, რომ თუკი დაგიჯერა და დაგემორჩილა, მერე კიდევ უფრო მეტს არ მოსთხოვ.



როგორც ვხედავთ, აქ მთავარი დარწმუნებაა, რომ კონფლიქტის გაგრძელება საშიშია და რომ რიგ პირობებზე წასვლის შემთხვევაში, მისი დასრულება ნამდვილად მოხდება. იმისათვის, რომ შედეგი დადგეს, მხარეები კარგად უნდა აანალიზებდნენ კონფლიქტის საერთო კონტექსტს, ერთმანეთის რეალურ შესაძლებლობებს. სასურველია, რომ რაც არ უნდა უთანასწორო იყოს დაპირისპირება, მოლაპარაკებებმა ორმხრივი დათმობებიც მოიტანოს.

ტრადიციულ-პოლიტიკური მიდგომის მიმდევრებსაც ესმით, რომ კონფლიქტების სრულფასოვანი გადანწყვეტა მათი მიზეზების აღმოფხვრას ითხოვს. მაგრამ, როგორც წესი, პოლიტიკოსები საკუთარი ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობენ, მიზეზების ხედვა კი ყველა ასეთ მხარეს თავისი აქვს. საბოლოო ღირებულება, რაც დაპირისპირებას ასრულებს, ძალაა. იგი გამოიხატება მომხრეთა რიცხოვნობაში, მათ სულისკვეთებაში, მატერიალურ შესაძლებლობებში. მაგრამ თუ მთავარი არის ძალა და სამართლიანობა სადღაც ქრება, კაცობრიობის ისტორია შურისძიების, სუსტთა თანდათანობითი გაძლიერების ნაირფერი მაგალითებითაა სავსე. მამ სადაა სამუდამო ან ხანგრძლივადიანი გამოსავალი?

## ბ) აკადემიურ-კონფლიქტოლოგიური მიდგომა

ვისაც ტრადიციული მიდგომის უცვლელი სჯერა, მისი გამომყენებელი თუ მიმდევარია, ის იმედოვნებს, რომ ადრე თუ გვიან დამარცხებული მეტოქე დაილდება, ბედს შეეგუება და აღარ იზრუნებს შიდა თუ გარე რესურსების გამრავლებაზე. ზოგჯერ ასეც ხდება, მაგრამ ეს რომ სანდო და უნივერსალური გზა იყოს, დღეს საქართველო ისევ რუსეთის იმპერიის ნაწილი იქნებოდა. თანამედროვეობამ მოიტანა ახალი მეთოდები, რომელთა ეფექტურობაც შეიძლება ეჭვს აღძრავდეს, მაგრამ ღირს მათზე დაფიქრება.

როგორც აკადემიური დარგი და პრაქტიკული მიდგომა, კონფლიქტოლოგია/კონფლიქტების გადწყვეტა დაახლოებით 100 წლისაა. პრაქტიკოს პოლიტიკოსებს იგი თანდათანობით იზიდავს, თუმცა, ძირითადად, დემოკრატიულ ევროპასა და ამერიკაში. ისევ ჩვენი კოლექტიური გამოცდილება რომ გავისხენოთ, საამისოდ ევროპის კავშირის ერთ-ერთი ლიდერის, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის 2021 წლის თებერვლის ვიზიტი და ხელისუფლება/ოპოზიციის კონფლიქტის დარეგულირებაში მონაწილეობა იქნებოდა კარგი მაგალითი. კონფლიქტების რეგულირების მეთოდთა ევროპულმა ჯერ კიდევ 90-იან წლებში სცადეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სისხლიანი დაპირისპირებების დასასრულებლად. ჯერჯერობით ყველა ეს მცდელობა იმედგაცრუების ნიადაგს უფრო აღრმავებს. მაგრამ ეს შეიძლება არა იმდენად მეთოდის, რამდენადაც სხვა გაუთვალისწინებელი თუ ვერდამორჩილებული გარემოებების ბრალი იყოს. თანაც, კონფლიქტოლოგიურ მიდგომას დრო და მოთმინება სჭირდება.

რთული სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების რეგულირების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად კვლავ რჩება ეგვიპტისა და ისრაელის შეთანხმება ომების მთელი სერიის შემდგომ, 1979 წელს. ასეთივეა ომის დასრულება ეკვადორსა და პერუს შორის ან რასობრივი მშვიდობის დამყარება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ამ სამივე შემთხვევას ერთი რამ აერთიანებს – ცნობილი მომლაპარაკებლის, კონფლიქტების რეგულირების სპეციალისტის – როჯერ ფიშერისა და მისი გუნდის მონაწილეობა. მოხდა ისე, რომ ამ კონფლიქტების მონაწილეები და საერთაშორისო დაინტერესებული ძალები უსმენდნენ და უჯერებდნენ აკადემიურ-კონფლიქტოლოგიური სამყაროს ამ მეტრს, რომელიც, სხვათა შორის, თბილისშიც იყო ნამყოფი.

ფიშერი თავის მეთოდს ინტერესებზე ბაზირებულ მოლაპარაკებას უწოდებდა. მისი არსია მოლაპარაკების მაგიდაზე წარმოდგენილი პოზიციებიდან მხარეთა პრაგმატულ ინტერესებზე გადასვლა. თქვენ, როგორც ქართველს, გასურთ, რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარი გავიდეს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, აღდგეს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, როკის გვირაბთან და მდინარე ფსოუზე, აღდგეს ტერიტორიული მთლიანობა. ეს პოზიციები, ინტერესი კი სუვერენიტეტის პატივისცემაა, რადგან იგი საერთაშორისო პრესტიჟის ქვაკუთხედაა. ასევე ინტერესია უსაფრთხოება, გადაადგილების თავისუფლება. არსებობს ეკონომიკური ინტერესებიც. აფხაზებს, ოსებს, რუსებს აქვთ სრულიად საპირისპირო პოზიციები, მაგრამ რა არის მათი ინტერესი? იქნებ შეიძლებოდეს ინტერესთა მორგება?



ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი, აშშ პრეზიდენტი ჯიმი კარტერი და ისრაელის პრემიერ-მინისტრი მენახემ ბეგინი

როჯერ ფიშერი (1922-2012)



**ჯონ პოლ ლედერახი**  
დაბ. 1955

რა თქმა უნდა, ეს ურთულესია და კიდევ უფრო მეტად საჭიროებს კონფლიქტის საერთო კონტექსტის შესწავლას, მისი ე.წ. რუკის შექმნას, რომელზეც არა მარტო მხარეები აღინიშნება, არამედ მათი ქვეჯგუფებად თუ ინსტიტუტებად ჩაშლაც მოხდება: თქვენ შეიძლება გიჭირდეთ მოწინააღმდეგეთა A წარმომადგენელთან ურთიერთობა, მაგრამ იქვეა B, C. აქვთ მათ სათანადო გავლენა? შესაძლებელია მათში პოტენციური მოკავშირის პოვნა?

რა თქმა უნდა, ამგვარ ანალიტიკურ ოპერაციებს ტრადიციულ-პოლიტიკური მეთოდების მომხრეებიც ახორციელებენ. მაგრამ მოლაპარაკებებისას პოზიციებიდან ინტერესებზე, მით უმეტეს კი, უფრო ღრმა, ფუნდამენტურ საჭიროებებზე გადასვლა არაა მათი ძლიერი მხარე. ეს მიდგომა კონფლიქტოლოგიამ, ანუ საექსპერტო-აკადემიურმა წრეებმა გახადეს აქტუალური. თუმცა, მათი წვლილი და ორიენტაცია კიდევ უფრო თვალსაჩინო სამოქალაქო, ეთნო და საერთაშორისო კონფლიქტების მიზეზების კვლევაშია.

დასაწყისში გალტუნგის სამკუთხედი ვახსენე. ეს არის ერთ-ერთი ჩემპიონთაგანი სტრუქტურული და კულტურული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. კონფლიქტოლოგიური მიდგომაა, რომ არც ერთი დაპირისპირება არ ხდება რაიმე მკაფიო მიზეზმდეგობრივი ჯაჭვის გამო. კონფლიქტი არა მარტო „სამკუთხედი“, არამედ „სპირალიც“ (კონფლიქტოლოგთა კიდევ ერთი მეტაფორა) – სიტყვას სიტყვა მოსდევს, ქმედებას – ქმედება, გადანყვეტილებას – გადანყვეტილება და მერე ძნელია გაიგო, რით იწყებოდა ეს ყოველივე. მეტიც, დასაწყისს მნიშვნელობაც არ აქვს.

მრავალ კონფლიქტოლოგს შორის აუცილებლად უნდა ვახსენოთ ჟან პოლ ლედერახი. გალტუნგთან ერთად იგიც ათწლეულები ქადაგებდა ტრანსცედენციას, ანუ გადალახვას. „ჩვენ უნდა ვისწავლოთ პარადოქსებში ცხოვრება“, – ამბობს ლედერახი. მისი მიდგომა ძალადობის ციკლიდან გასვლისა და კონფლიქტის ტრანსფორმირებისათვის არტისტიზმის, ინოვაციური აზროვნების, ახალი რეალობის კონსტრუირების ფსიქოლოგიური პროცესების წახალისებაა. მთავარია მივატოვოთ დიქტომია „ჩვენ და ისინი“, მაშინ შეიძლება ვიპოვოთ ფორმულა, რომელიც, ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას თუ ავიღებთ, არც ტერიტორიული მთლიანობა იქნება და არც სეპარაცია.

შესაძლებელია ასეთი რამ? ადამიანებს ყველაფერი შეუძლიათ, თუ ამის საკმარისი ნება გაჩნდა. პრობლემა ისაა, რომ ან ნება იგვიანებს, ან ის მარტო ერთ მხარეს უვითარდება, ანდაც არის კიდევ ვიღაც მესამე, რომელიც კონფლიქტის მოგვარებას უშლის ხელს. საბოლოო ჯამში, კონფლიქტოლოგები არ არიან პოლიტიკოსები. მათ არ აქვთ ძალაუფლება, გარდა მორალური ავტორიტეტისა. ამის წყალობით, პოლიტიკოს-

**ჰანიტო მუსოლინი**  
(1883-1945)



თა ნაწილი მათ გავლენას განიცდის, როგორც აშშ-ის პრეზიდენტი ჯიმი კარტერი უსმენდა და უჯერებდა როჯერ ფიშერს. მაგრამ ასეთი პოლიტიკოსები უმცირესობაა. არადა, საბოლოო გადაწყვეტილებები მათი მისაღები და გასატარებელია. როგორც ვთქვი, სამოქალაქო, ეთნიკური (ისევე, როგორც რელიგიური) თუ საერთაშორისო კონფლიქტები პოლიტიკური ფენომენებია. შესაბამისად, გადამწყვეტი ხდება ძალაუფლებისათვის ბრძოლის შინი თუ მისი დაკარგვის შიში. ეს ორივე ხელს უშლის ინოვაციას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რიგით მოქალაქეთა თაობებია გაზრდილი ნაციონალური იდეის უმთავრესობის სულისკვეთებით. დუჩე, ანუ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი იტალიის დიქტატორი ბენიტო მუსოლინი, ნაციონალურ პოლიტიკას „წმინდა ეგოიზმს“ უწოდებდა. მჯერა, რომ იმჟამინდელი სისასტიკე ევროპაში მაინც აღარასოდეს განმეორდება, მაგრამ ეგოიზმი, როგორც ნაციონალური, ისე ნებისმიერი, ძნელად თმობს პოლიტიკის ასპარეზს. შესაბამისად, უახლოეს თვალსაწიერში ჩვენი გარემოც კონფლიქტური დარჩება. ერთია მხოლოდ – ჭკვიანური პოლიტიკით, მასში კონფლიქტოლოგიური არსენალის რეალისტური ჩართვით კონფლიქტების უმეტესობის გადამწყვეტა თუ არა, რეგულირება მაინც შეიძლება.

P. S. იქნება კონფლიქტი პოლიტიკური თუ ყოფითი, თუ „მტრის“ განადგურება კი არა, სიტუაციის და-რეგულირება გვინდა, პირველ რიგში, კონფლიქტოლოგთა შემდეგი რჩევები უნდა გავითვალისწინოთ: პროცესში საჭიროა აქტიური მოსმენა და ე.წ. კონგრუენტული შეტყობინებებით საუბარი. ამით მეორე მხარეს განაწყობ კეთილად – რამდენადაც ამის საშუალებას სიტუაცია იძლევა. ორივეში ვარჯიშია საჭირო. ორი სიტყვით: პირველი გულისხმობს, რომ ადამიანს დაანახო, რომ მას უსმენ და მისი გესმის, მეორე – გულწრფელობას, სიტყვების, გამომეტყველებების, უცხტების თანხვედრას და რაც მთავარია – პრობლემის და ადამიანის დაცელებას. ანუ ფოკუსი გადადის პრობლემაზე და არა მეორე მხარეს მდგომთა ბრალეულობაზე. გარწმუნებთ, თუ მსგავსი მეთოდის სასწაულს არ მოახდენს, საზიანოც არ იქნება. ოღონდ აქ მოლაპარაკების პროცესზე ვსაუბრობთ და არა მეტოქესთან შეჯახების ისეთ წამზე, როდესაც სიტყვები ან დაგვიანებულია, ან ნაადრევი.

